საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ჟორდანია იოსებ

ი. ჟორდანია

ჟორდანია იოსებ (1895–1962), გინეკოლოგი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962). დაიბადა საქართველოში, ქ. თბილისში. 1923 წელს დაამთავრა პეტროგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. 1939 წლიდან განაგებდა სამხედრო-სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრას. 1944 წლიდან იყო მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიური კათედრის გამგე, 1950 წლიდან - მოსკოვისა და სსრკ-ის მთავარი გინეკოლოგი. 1951 წლიდან განაგებდა მოსკოვის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრას. 1958 წელს ი. ჟორდანია გადმოვიდა თბილისში და სიცოცხლის ბოლომდე იყო დირექტორი მისივე თაოსნობით დაარსებული ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა (1968 წლიდან - ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი).

ი. ჟორდანია ტრაგიკულად დაიღუპა რიო-დე-ჟანეიროში ავიაკატასტროფის დროს, როდესაც თავისი საშველი ჟილეტი დაუთმო ამერიკელ გოგონას.

ი. ჟორდანია დაკრძალულია თბილისში.